სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

82264479654319

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190225035

რეგისტრაციის თარიღი

01.03.2019 წ

ნოტარიუსი: ბესიკ სეხნიაიძე
მისამართი: ქ. თბილისი,ვაჟა ფშაველას გამზ. #7
ტელეფონი: +995 (32) 72-68-80

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას თვრამეტი წლის პირველ მარტს, მე, ნოტარიუსს ბესიკ სეხნიაიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს თბილისში, ვაჟა ფშაველას გამზ. №7, მომმართა შპს „საქართველო“-ს გენერალურმა დირექტორმა **ირაკლი გაგოიძემ (ს/ნ №211752021)** რომელმაც მთხოვა მინდობილობის შედგენა მოქალაქე **ქეთევან ალექსიშვილის** მიმართ და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე შპს „საქართველო“-ს გენერალური დირექტორის **ირაკლი გაგოიძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საშუალებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად შპს „საქართველო“-ს გენერალურმა დირექტორმა **ირაკლი გაგოიძემ** (დაბ. 10.02.1958 წელს, პირადი №01017002181) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ქმდუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წაუკითხე და განვუმარტე მიმნდობს - **მიმნდობმა** წაიკითხა მინდობილობის შინაარსი და განაცხადა, რომ ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან პირადად, ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას თვრამეტი წლის პირველ მარტს, ამ მინდობილობით მე, შპს „საქართველო“-ს გენერალური დირექტორი **ირაკლი გაგოიძე** (დაბ. 10.02.1958 წელს, პირადი №01017002181) შემდგომში “მიმნდობი“ უფლებას ვაძლევ **ქეთევან ალექსიშვილს** (დაბ. 14.03.1965 წელს, პირადი №01024016364) შემდგომში **„მინდობილი’**

იყოს ჩემი როგორც შპს „საქართველო“-ს გენერალური დირექტორის წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის: საქართველოს მთავრობაში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამოქალაქო რეესტრში, სამეწარმეო რეესტრში, არქივში, საგადასახადო ინსპექციის სტრუქტურებში, საქართველოს ქალაქების მერიებში, რაიონულ გამგეობებში, შემოსავლების სამსახურში, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში, ურბანული დაგეგმარების და არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურში, ფოსტაში, შსს-ს სტრუქტურულ ერთეულებში, იყოს შპს „საქართველო“-ს წარმომადგენელი საქართველოს სასამართლოების ყველა ინსტანციაში, მოაწეროს ხელი ჩემი როგორც შპს „საქართველო“-ს გენერალური დირექტორის მაგივრად ქირავნობის და იჯარის ხელშეკრულებებს, იჯარის შეწყვეტა/გაუქმების, მათ დამატებებს და დამატებით შეთანხმებებს, გააუქმოს/ჩაანაცვლოს/შეიტანოს/გამოიტანოს ნებისმიერი ჩანაწერები საჯარო და სამეწარმეო რეესტრებში, აწარმოოს მოლაპარაკებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, შეიტანოს განცხადებები და აიღოს ცნობები, ამონაწერები, მოწმობები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, ამასთან დაკავშირებით აწარმოოს კანონით ნებადართული ყველა საჭირო საქმიანობა, ჩემი როგორც შპს „საქართველო“-ს გენერალური დირექტორის მაგივრადმოაწეროს ხელი და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალებების შესასრულებლად, მათ შორის საჯარო და სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერებში შეიტანოს ცვლილებები ფირმის მისამართის, ელექტრონული ფოსტის ცვლილებების შემთხვევაში.

მინდობილობა გაცემულია 10 (ათი) წლის ვადით და ძალაშია 2029 წლის 1 მარტის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ბესიკ სეხნიაიძის არქივში, დანარჩენი კი გადაეცათ მხარეებს.

მიმნდობი _____

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10 (ათი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებისა (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები) 31-ე მუხლისა 2 (ორი) ლარი რეგისტრაციის საფასური თანახმად ამავე დადგენილების 39-ე მუხლისა

ნოტარიუსი / ბ. სეხნიაიძე /

საქართველო ნოტარიუსი სეხნიაიძე ბესიკ GEORGIA NOTARY SEKHNIAIDZE BESIK *01018001717*